# შესაბამისობის ცხრილი

| ევროკავშირის სამართლებრივი აქტი:<br><br>1. C-481/99 გეორგ ჰაინინგერი და ჰელგა ჰაინინგერი და ზავარიული ჰიპო და ფერეინსბანკი აგე | | ქართული კანონმდებლობა:<br><br>1. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“<br><br>სშ - სრულად შესაბამისი<br>ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი<br>შ - შეუსაბამო<br>ას - არა სავალდებულო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | 1. საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის დირექტივა 85/577/EEC მომხმარებელთა დაცვის შესახებ სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებებში, უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მისი მოქმედება ვრცელდება უზრუნველყოფილი კრედიტის ხელშეკრულებებზე, მსგავსად იმისა, რომელიც სახეზე იყო საქმის მსვლელობაში, რაც გულისხმობს, რომ დირექტივის მე-5 მუხლში განსაზღვრულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის, რომელმაც დადო ასეთი სახის ხელშეკრულება 1-ელ მუხლში დაზუსტებულ ერთ-ერთ შემთხვევაში. | 1<br><br><br><br><br><br><br><br><br><br>1 | 16.1<br><br><br><br><br><br><br><br><br><br>14.8 | ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება საფინანსო და სადაზღვევო სფეროში დადებულ ხელშეკრულებაზე, გარდა სარეწს გარეთ დადებული, ქონებით უზრუნველყოფილი საბანკო საკრედიტო ხელშეკრულებისა.<br><br>იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრე მომხმარებელს არ მიაწვდის ინფორმაციას ამ კანონით გათვალისწინებული პროდუქტის უკან დაბრუნების უფლების შესახებ, პროდუქტის | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2. დირექტივა 85/577 წინააღმდეგობაში მოდის ეროვნული კანონმდებლობის ისეთ დათქმასთან, რომელიც აწესებს ხელშეკრულების დადებიდან ერთ წლიან ვადას  მე-5 მუხლში განსაზღვრული, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოსაყენებლად, როდესაც მომხმარებელს არ მიუღია მე-4 მუხლში მითითებული ინფორმაცია. | | | უკან დაბრუნების ვადა აითვლება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ათვლის პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში. | | |